საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის

ბრძანება №18
2025 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

პირისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმების, სპეციალური მოსამზადებელი კურსის პროგრამის მინიმალური სტანდარტებისა და განგრძობადი პროფესიული განათლების სტანდარტების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს საპატენტო კანონის“ 8^1 მუხლის, „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების“ 6^5 მუხლის „$გ^2$“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „პირისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმები“ თანდართული სახით (დანართი 1);
2. დამტკიცდეს „სპეციალური მოსამზადებელი კურსის პროგრამის მინიმალური სტანდარტები“ თანდართული სახით (დანართი 2);

3. დამტკიცდეს „განგრძობადი პროფესიული განათლების სტანდარტები“ თანდართული სახით (დანართი 3).

მუხლი 2

1. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქპატენტის თავმჯდომარე **სოსო გიორგაძე**

დანართი 1

პირისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

პირისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმების შემუშავების მიზანია საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმების ობიექტურად, გამჭვირვალედ და მკაფიოდ დადგენა, აგრეთვე, შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დადასტურების პროცედურის განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი II
სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმები

მუხლი 3. საპატენტო სფეროში მუშაობის გამოცდილების კრიტერიუმები

1. „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საპატენტო სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილების შეფასება ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. სამუშაო გამოცდილების მინიმალურ ხანგრძლივობად მიიჩნევა 1 წლის მაძილზე სრულ განაკვეთზე (კვირაში 40 საათი) უწყვეტად ან ჯამურად მუშაობა.

3. ნახევარგანაკვეთიანი ან თვითდასაქმებული პირის მიერ შესრულებული სამუშაო გამოცდილება შეიძლება აღიარებულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისი საათობრივი მოცულობით. ამასთან, 1 600 საათი ჩაითვლება 1 წლის ეკვივალენტად.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული სამუშაო გამოცდილება მოიცავს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, მათ შორის, საპატენტო სფეროში:

ა) კლიენტის კონსულტირებას, რომელიც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან, მათ შორის, საპატენტო სფეროსთან დაკავშირებულ ზეპირ და წერილობით კონსულტაციებსა თუ ძიების ჩატარებას;
ბ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის, საერთაშორისო განაცხადისა (PCT) და საერთაშორისო რეგისტრაციის მოსაპოვებლად საჭირო განაცხადის შედგენას; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისთვის დუბლიკატის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის შედგენას; დამცავი დოკუმენტების მისაღებად და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის ძალის შესანარჩუნებლად აუცილებელი ქმედებების განხორციელებას; შესაბამისი უფლებების გადასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენას; სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე განაცხადის შედგენას; უფლებების დაცვისა და განხორციელებისთვის საჭირო სხვა საქმიანობების განხორციელებას; აგრეთვე, საპატენტო სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას;
გ) საპატენტო სფეროში საქმისწარმოების პროცედურებში მონაწილეობას, რომელიც მოიცავს მარწმუნებლის წარმომადგენლობას საქპატენტსა და საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;
დ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვისა და აღსრულების პროცედურებში მონაწილეობა – წარმომადგენლობა, რომელიც მოიცავს ასევე დავებისა და აღსრულების პროცესებში წარმომადგენლობას.

მუხლი 4. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მუშაობის გამოცდილების კრიტერიუმები

1. „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილების შეფასება ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. სამუშაო გამოცდილების მინიმალურ ხანგრძლივობად მიიჩნევა 1 წლის მანძილზე სრულ განაკვეთზე (კვირაში 40 საათი) უწყვეტად ან ჯამურად მუშაობა.

3. ნახევარგანაკვეთიანი ან თვითდასაქმებული პირის მიერ შესრულებული სამუშაო გამოცდილება შეიძლება აღიარებულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისი საათობრივი მოცულობით. ამასთან, 1 600 საათი ჩაითვლება 1 წლის ეკვივალენტად.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული სამუშაო გამოცდილება მოიცავს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებისა ან/და დიზაინის მიმართულებით:
ა) კლიენტის კონსულტირებას, რომელიც მოიცავს სასაქონლო ნიშნებთან, გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან/და დიზაინთან დაკავშირებით ზეპირ და წერილობით კონსულტაციებს;

ბ) სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებისა ან/და დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის, საერთაშორისო განაცხადისა და საერთაშორისო რეგისტრაციის მოსაპოვებლად საჭირო განაცხადის შედგენას; დუბლიკატის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის შედგენას; დამცავი დოკუმენტების მისაღებად და რეგისტრაციის ძალის შესანარჩუნებლად აუცილებელი ქმედებების განხორციელებას; უფლებების გადასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენას; სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას; რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე განაცხადის შედგენას; უფლებების დაცვისა და განხორციელებისთვის საჭირო სხვა საქმიანობების განხორციელებას; აგრეთვე, სასაქონლო ნიშნებთან, გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, ადგილწარმოშობის დასახელებთან ან/და დიზაინთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას;

გ) სასაქონლო ნიშნებთან, გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, ადგილწარმოშობის დასახელებთან ან/და დიზაინთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცედურებში მონაწილეობა, რომელიც მოიცავს მარწმუნებლის წარმომადგენლობას საქპატენტსა და საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში, ასევე, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

დ) სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიულ აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელების ან/და დიზაინის დაცვისა და აღსრულების პროცედურებში მონაწილეობა – წარმომადგენლობა, რომელიც მოიცავს დავებისა და აღსრულების პროცესებში წარმომადგენლობას.

თავი III
სამუშაო გამოცდილების დადასტურება

მუხლი 5. სამუშაო გამოცდილების დადასტურების ფორმა

1. ამ დანართის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული სამუშაო გამოცდილება დგინდება ოფიციალური დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ა) ცნობას სამუშაო ადგილიდან, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მუშაობის პერიოდი, დასაქმების ფორმა, შესრულებული ფუნქციები და მოვალეობები;

ბ) პატენტრწმუნებულის მიერ გაცემულ შეფასებას, თუ სამუშაო გამოცდილება განხორციელდა პატენტრწმუნებულის ხელმძღვანელობით;

გ) შესაბამის სერტიფიკატს ან სხვა დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს კანდიდატის პრაქტიკულ ჩართულობას კონკრეტულ საქმიანობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

მუხლი 6. პრაქტიკა და სტაჟირება

1. პრაქტიკა ან სტაჟირება შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო გამოცდილებად, თუ იგი განხორციელებულია შემდეგ უწყებებში:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომ – საქპატენტი);
ბ) სხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყება;
გ) საადვოკატო ბიურო ან საქართველოს ან სხვა ქვეყნის პატენტრწმუნებულის ოფისი;
დ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები (WIPO, EPO, EUIPO და სხვ.).

2. სტაჟირება ჩაითვლება სამუშაო გამოცდილებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი წარადგენს ოფიციალურ ცნობას, სადაც მითითებული იქნება:
ა) სტაჟირების პერიოდი;
ბ) შესრულებული საქმიანობის აღწერა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ამ დანართის მე-2 თავით განსაზღვრულ სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმებთან.

3. სტაჟირების პერიოდში შესრულებული საქმიანობა ჩაითვლება სამუშაო გამოცდილების ეკვივალენტად საათობრივი ან კალენდარული ხანგრძლივობის მიხედვით, იმავე წესით, როგორც განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილების ზოგადი კრიტერიუმებით.

დანართი 2

სპეციალური მოსამზადებელი კურსის პროგრამის მინიმალური სტანდარტები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

სპეციალური მოსამზადებელი კურსის მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მოპოვების მსურველი პირების თეორიული და პრაქტიკული მომზადება, მათთვის პროფესიულ საქმიანობაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და იმ საბაზისო კომპეტენციების განვითარება, რომლებიც აუცილებელია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სპეციალური მოსამზადებელი კურსი – კურსი, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სფეროებში და პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მოპოვების მსურველ პირს ათავისუფლებს 1-წლიანი სამუშაო გამოცდილების დადასტურების ვალდებულებისგან;

ბ) თეორიული სწავლება – სპეციალური მოსამზადებელი კურსის კომპონენტი, რომელიც მიმართულია მონაწილეთა ცოდნით აღჭურვისკენ/გაღრმავებისკენ, დაყოფილია მოდულებად და ხორციელდება ლექციების, ტრენინგების, სემინარებისა და ვებინარების ფორმატში;

გ) პრაქტიკული სწავლება – კურსის კომპონენტი, რომელიც მიმართულია მონაწილეთა უნარ-ჩვევების განვითარებისკენ ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე და ხორციელდება სტაჟირების, პრაქტიკული დავალებებისა და სიმულაციური და ჯგუფური სამუშაოების ფორმატში;

დ) კურსის განმახორციელებელი – საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სპეციალურ მოსამზადებელ კურსს წინამდებარე დანართით განსაზღვრული მინიმალური სტანდარტების, პროგრამის მოთხოვნებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ დანართში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

დანართი 3

განგრძობადი პროფესიული განათლების სტანდარტები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების მიზანია უზრუნველყოს პატენტრწმუნებულის მიერ უფლებამოსილების ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელი პროფესიული ცოდნის მუდმივი განახლება და უნარ-ჩვევების განვითარება, აგრეთვე, ხელი შეუწყოს პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) განგრძობადი პროფესიული განათლება – პატენტრწმუნებულის სტატუსის მქონე პირის მიერ პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეგულარული გაუმჯობესებისა და განახლების პროცესი, რომელიც ხორციელდება ამ დანართით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

ბ) ამ დანართში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი II
პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამის ორგანიზება და განხორციელების წესი

მუხლი 3. განგრძობადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა

1. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში, სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი (შემდგომ – სასწავლო ცენტრი) საქპატენტის სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, და საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციასთან კონსულტაციის საფუძველზე, განსაზღვრავს წლის საგანმანათლებლო საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, სასწავლო ცენტრის მიერ ხდება განგრძობადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და ტრენინგების კალენდრის შედგენა,

რომელიც უნდა დამტკიცდეს საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით არაუგვიანეს ყოველი წლის 31 იანვრისა.

3. განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

ა) საკანონმდებლო ცვლილებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში;

ბ) უახლესი ტენდენციები ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში;

გ) პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი უნარ-ჩვევები;

დ) პროფესიული ეთიკა და მომხმარებელთან ეფექტიანი კომუნიკაცია;

ე) სხვა თემატიკა, რომელიც განისაზღვრება მიმდინარე წლის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

4. პატენტრწმუნებული, სპეციალიზაციისა და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მიმართულებებიდან, დამოუკიდებლად ირჩევს იმ სასწავლო ღონისძიებებს, რომლებშიც მიიღებს მონაწილეობას.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგია და ფორმატი

1. პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში შესაძლებელია სწავლების შემდეგი ფორმატების გამოყენება: ტრენინგი, სემინარი, ვებინარი, საერთაშორისო კონფერენცია, მრგვალი მაგიდა და ზრდასრულთა განათლების სხვა მეთოდები.

2. პატენტრწმუნებულთა განგრძობად განათლებაში შეიძლება ჩაითვალოს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის, სტატიის, ნაშრომის ან პუბლიკაციის გამოქვეყნება რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემებში.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა და პერიოდულობა

1. პატენტრწმუნებული ვალდებულია ყოველ 2 წელიწადში, სულ მცირე, 10 აკადემიური საათი დაუთმოს განგრძობად პროფესიულ განათლებას.

2. ამ დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის, სტატიის, ნაშრომის ან პუბლიკაციის გამოქვეყნება რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემაში ჩაითვლება 10 აკადემიურ საათად.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის დადასტურება

1. საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შემდეგ სავალდებულო მონაცემები:

ა) სასწავლო ღონისძიების განმახორციელებლების სრული დასახელება;

ბ) სასწავლო ღონისძიების დასახელება;

გ) მონაწილე პატენტრწმუნებულის სახელი და გვარი;

დ) სასწავლო ღონისძიების ჩატარების თარიღი;
ე) სასწავლო ღონისძიების ხანგრძლივობა (აკადემიური საათების რაოდენობა).

2. ამ დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობის, მათ შორის, სტატიის, ნაშრომის ან პუბლიკაციის რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნების დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს:
ა) შესაბამისი გამოცემის დასახელება;
ბ) სტატიის ან ნაშრომის ავტორის სახელი და გვარი;
გ) გამოქვეყნების თარიღი.
3. პატენტრწმუნებული ვალდებულია შეინახოს სერტიფიკატები და შესაბამისი დოკუმენტაცია არანაკლებ 3 წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგინოს საქპატენტს ან პატენტრწმუნებულთა ასოციაციას.

მუხლი 7. ორგანიზაციული უზრუნველყოფა
1. პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამის ორგანიზებასა და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი.

2. განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და მისი პერიოდული განახლება;
ბ) წელიწადში ერთხელ კატალოგის (კალენდრის) გამოქვეყნება, რომელშიც ასახული იქნება დაგეგმილი სასწავლო ღონისძიებები (აქტივობები);
გ) სწავლების სხვადასხვა ფორმატების უზრუნველყოფა;
დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტრენერების შერჩევა და მოწვევა;
ე) ყოველწლიური კალენდრის ფარგლებში თითოეული პატენტრწმუნებულისთვის მინიმუმ 2 უფასო სასწავლო აქტივობის შეთავაზება.

მუხლი 8. სხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის აღიარების წესი
1. პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში გამოიყენება კონკრეტული საგანმანათლებლო ღონისძიებების აღიარების პროცედურა, რომელსაც უზრუნველყოფს საქპატენტი.

2. პატენტრწმუნებულის მიერ საერთაშორისო ან ადგილობრივ საგანმანათლებლო ღონისძიებაში (ტრენინგი, სემინარი, ვებინარი, კონფერენცია) მონაწილეობა შეიძლება აღიარებულ იქნეს განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში, თუ ღონისძიება არსებითად შეესაბამება სასწავლო ცენტრის მიერ ამ დანართის მე-3 მუხლის საფუძველზე განგრძობადი პროფესიული განათლებისთვის განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამასა და წლის საგანმანათლებლო საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის აღიარება ხორციელდება

ინდივიდუალურად, პატენტრწმუნებულის მიერ შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენით საქპატენტში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:
ა) ღონისძიების პროგრამასა და აღწერას;
ბ) ჩატარების თარიღებსა და ხანგრძლივობას (აკადემიური საათები);
გ) მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტს;
დ) განმარტებას, თუ როგორ შეესაბამება აღნიშნული ღონისძიება საქპატენტის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს;

5. საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის აღიარება ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით.

6. საქპატენტი განიხილავს სხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის აღიარების თაობაზე წარდგენილ განცხადებებსა და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

7. საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელიც არ უკავშირდება ინტელექტუალური საკუთრების სფეროს, პატენტრწმუნებულის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარებს, ან საქპატენტის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, არ ექვემდებარება აღიარებას.

8. სხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დამოუკიდებლად გაწევა ეკისრება პატენტრწმუნებულს.

თავი III
ხარისხის მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება

მუხლი 9. ანგარიშგება და დოკუმენტაცია

1. პატენტრწმუნებული ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი მე-3 კალენდარული წლის 31 იანვრისა პატენტრწმუნებულთა ასოციაციას წარუდგინოს ანგარიში განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში ბოლო 2 წლის განმავლობაში მიღებული სწავლების შესახებ, რომელსაც უნდა ერთოდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერტიფიკატები, სასწავლო ღონისძიებაში (აქტივობებში) მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობები და სხვა).

2. იმ შემთხვევაში, თუ პატენტრწმუნებულს მონაწილეობა მიღებული აქვს სხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ღონისძიებაში, პატენტრწმუნებულთა ასოციაციას დამატებით უნდა წარედგინოს საქპატენტის მიერ ამ დანართის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება.

3. პატენტრწმუნებულთა ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და გადაამოწმოს წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტე.

მუხლი 10. ხარისხის მონიტორინგი

საქპატენტი და პატენტრწმუნებულთა ასოციაცია ყოველწლიურად ახორციელებს პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების სისტემის მონიტორინგს შემდეგი მიმართულებებით:

ა) სასწავლო ღონისძიებების შესრულება და მონაწილეთა დასწრება;

ბ) სასწავლო ღონისძიებების შინაარსი და მეთოდოლოგია;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა პრიორიტეტულ მიმართულებებთან.

მუხლი 11. სისტემის გაუმჯობესება

ამ დანართის მე-10 მუხლის საფუძველზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ნაკლოვანებების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით, სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებასა და განახლებას.

თავი II
სპეციალური მოსამზადებელი კურსის მინიმალური სტანდარტები

მუხლი 3. სპეციალურ მოსამზადებელ კურსზე დაშვების წინაპირობები

1. სპეციალურ მოსამზადებელ კურსზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება კურსის განმახორციელებლის მიერ.

2. სპეციალური მოსამზადებელი კურსის განმახორციელებელი ვალდებულია დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც მოიცავს კანდიდატის განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების შეფასებას ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კურსის მიზნებთან და პროგრამის სტრუქტურასთან შესაბამისობა.

3. კურსზე მონაწილეთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს.

მუხლი 4. სპეციალური მოსამზადებელი კურსის სტრუქტურა და ხანგრძლივობა

1. სპეციალური მოსამზადებელი კურსის საერთო ხანგრძლივობაა 10 თვე და მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას.

2. თეორიული სწავლების ხანგრძლივობაა 4 თვე და შეიძლება განხორციელდეს ლექციების, ტრენინგების, სემინარებისა და ვებინარების ფორმატში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თეორიული სწავლების ფარგლებში სავალდებულოა მონაწილის მიერ საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის ერთობლივი დისტანციური სწავლების ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის (DL 101GE) გავლა, რომლის ფინალური გამოცდა ტარდება ფიზიკურ ფორმატში. აღნიშნული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 6 კვირას.

4. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად 6 თვის განმავლობაში, პრაქტიკული სწავლების ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

5. სპეციალური მოსამზადებელი კურსის განმახორციელებელს უფლება აქვს განსაზღვროს თეორიული და პრაქტიკული სწავლების საათობრივი ხანგრძლივობა, კურსის მიზნებისა და მინიმალური სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

6. ინტენსიური სასწავლო ფორმატის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილია პროგრამით დადგენილი ჯამური სასწავლო საათების შესრულება.

მუხლი 5. სპეციალური მოსამზადებელი კურსის განხორციელების ფორმატი

1. სპეციალური მოსამზადებელი კურსი შესაძლებელია განხორციელდეს ჰიბრიდული ფორმატით, რაც გულისხმობს დისტანციურ და ფიზიკური სწავლების ერთობლიობას.

2. თეორიული კომპონენტი შესაძლებელია ჩატარდეს ფიზიკურ გარემოში ან/და დისტანციურად.

3. პრაქტიკული კომპონენტი, ძირითადად, ხორციელდება ფიზიკურ გარემოში.

4. შესაძლებელია პროგრამით განისაზღვროს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ფიზიკურ ფორმატში განხორციელების მინიმალური წილი.

5. შუალედური და ფინალური გამოცდები ტარდება მხოლოდ ფიზიკურ ფორმატში.

მუხლი 6. სწავლების მეთოდები

1. სპეციალური მოსამზადებელი კურსის სწავლების მეთოდები უნდა ეფუძნებოდეს ზრდასრულთა განათლების პრინციპებსა და უნდა უზრუნველყოფდეს ინტერაქტიურ, პრაქტიკაზე ორიენტირებულ და უნარების განვითარებაზე მიმართულ სწავლებას.

2. სწავლების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მათ შორის, შემდეგი მეთოდები:
ა) სასწავლო შემთხვევების (კაზუსების) განხილვა;
ბ) სიმულაციური დავალებები და როლური სავარჯიშოები;
გ) ჯგუფური მუშაობა და დისკუსიები;
დ) პრაქტიკული „სწავლება-კეთების“ მიდგომა;
3. სწავლების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კურსის მიზნებს, პროგრამის შინაარსსა და სპეციალიზაციის სპეციფიკას.

მუხლი 7. შეფასების სისტემა და მეთოდები

1. სპეციალური მოსამზადებელი კურსის შეფასების სისტემა მოიცავს:
ა) თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შუალედურ და ფინალურ შეფასებას;
ბ) მონაწილეთა დასწრების აღრიცხვას;
გ) პრაქტიკული სწავლების ხელმძღვანელის მიერ გაცემულ შეფასებას.

2. თეორიული კომპონენტის შეფასება ხორციელდება შუალედური და ფინალური გამოცდების მეშვეობით. წინასწარ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის გადალახვა აუცილებელია კურსის წარმატებით დასასრულებლად.

3. ფინალური გამოცდის გადაბარებისა და განმეორებითი გასვლის პირობები უნდა განისაზღვროს კურსის განმახორციელებლის მიერ დადგენილი წესით.

4. პრაქტიკული კომპონენტის შეფასება ეფუძნება პრაქტიკული სწავლების ხელმძღვანელი პატენტრწმუნებულის წერილობით შეფასებას (რეკომენდაციას), რომელშიც ასახული უნდა იყოს მონაწილის მიერ ინდივიდუალური სწავლების გეგმის შესრულების ხარისხი.
5. მონაწილეთა დასწრება უნდა აღირიცხოს კურსის ყველა სესიაზე. სერტიფიკატის გაცემის წინაპირობა უნდა იყოს არანაკლებ 80-პროცენტიანი დასწრება.

მუხლი 8. სერტიფიცირება

სპეციალური მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდგომ, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების საფუძველზე, მონაწილე იღებს სპეციალური მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს – სერტიფიკატს.

მუხლი 9. ტრენერები და სასწავლო რესურსები

1. თეორიულ სწავლებას უნდა უძღვებოდნენ ტრენერები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი სპეციალიზაცია და პრაქტიკული გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

2. პრაქტიკული კომპონენტის ხელმძღვანელები უნდა ფლობდნენ არანაკლებ 3-წლიან პრაქტიკულ გამოცდილებას ინტელექტუალური საკუთრების შესაბამის სფეროში. შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, მათ შორის, საქმიანობის ხანგრძლივობა, ტრენერთა ტრენინგის სერტიფიკატის ფლობა, შესაბამისი განათლება და სხვა აკადემიური მიღწევები.

3. სასწავლო მასალა უნდა იყოს თანამედროვე, აქტუალური, ხელმისაწვდომი და ადაპტირებული მონაწილეთა საჭიროებებზე.

4. სასწავლო გარემო, როგორც ფიზიკური, ისე ვირტუალური, უნდა უზრუნველყოფდეს კომფორტულ, ტექნიკურად აღჭურვილ და ზრდასრულთა სწავლებისთვის ხელსაყრელ სივრცეს.

მუხლი 10. სპეციალური მოსამზადებელი კურსის პროგრამის შინაარსი

1. სპეციალური მოსამზადებელი კურსის პროგრამა შემუშავებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა მოიცავდეს:

ა) პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს;

ბ) სწავლის შინაარსსა და თემატურ განაწილებას;

გ) ტრენერების/ხელმძღვანელის რეზიუმეებსა და მათ მოვალეობებს;

დ) შეფასების მეთოდებს, მათ შორის, შუალედურ და საბოლოო შეფასებას;

ე) სასწავლო განრიგს, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნდება კურსზე მიღების გამოცხადებისთანავე;

ვ) სასწავლო რესურსებზე, მათ შორის, მასალებზე მითითებას.